

საქართველოს კანონი

„საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწილი I, №41, 30.12.2008წ., მუხ. 298) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. კანონის მე-2 მუხლის:

ა) „თ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თ) რეგისტრაცია – ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე ამ კანონით განსაზღვრული უფლების, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა (შემდგომში სარეგისტრაციო სუბიექტი) საიდენტიფიკაციო და ამ კანონით განსაზღვრული სხვა მონაცემების, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების წარმოშობის, ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლების სუბიექტისა და ობიექტის, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის/ლიკვიდაციის, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვების, ასევე კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა მონაცემების აღრიცხვა შესაბამის რეესტრში, რეგისტრაციის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებით;“;

ბ) „რ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„რ) ამონაწერი საჯარო რეესტრიდან – ამონაწერი უძრავ ნივთებზე უფლებათა, მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან;“.

2. კანონის მე-4 მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საჯარო რეესტრი არის უძრავ ნივთებზე უფლებათა, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის, მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლებათა, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრების ერთობლიობა.“.

ბ) მე-5 პუნქტის შემდეგ დაემატოს მე-6 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„6. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრი არის კანონმდებლობით განსაზღვრული მეწარმე სუბიექტის ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეგისტრაციის, მისი სამართლებრივი ფორმისა და საიდენტიფიკაციო მონაცემების, მის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირისა და მისი უფლებამოსილების ფარგლების, ასევე მეწარმე სუბიექტის პარტნიორთა შესახებ მონაცემთა ერთობლიობა

3. კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემები და მარეგისტრირებელ ორგანოში დაცული დოკუმენტაცია არის საჯარო და ხელმისაწვდომია გასაცნობად ნებისმიერი პირისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა. ინფორმაციის გაცემის საფუძველია განცხადება ან უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.“.

4. კანონს დაემატოს 6¹ მუხლი შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 6¹. ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების წესი

1. მარეგისტრირებელი ორგანო, ინფორმაციის გაცემის მოთხოვნისას, დაინტერესებულ პირს განუსაზღვრავს დამატებითი ინფორმაციისა თუ დოკუმენტის წარდგენის 30 დღიან ვადას, თუ:

ა) ვერ ირკვევა მოთხოვნის შინაარსი ან ვერ ხდება მოთხოვილი ინფორმაციის იდენტიფიკაცია;

ბ) განცხადებას არ ერთვის ამ კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული დოკუმენტი ან ინფორმაცია;

გ) არსებობს კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა შემთხვევა.

2. ინფორმაციის გაცემის მოთხოვნისას, დაინტერესებული პირის მიერ დამატებითი ინფორმაციისა თუ დოკუმენტის წარდგენის ვადის განსაზღვრის შემთხვევაში, განცხადების განხილვის ვადის დინება შეჩერებულად ითვლება. განცხადების განხილვის ვადის დინების შეჩერების საფუძველს ასევე წარმოადგენს სასამართლოს ან სხვა უფლებამოსილი პირის/ორგანოს შესაბამისი გადაწყვეტილება. აღნიშნული ვადის დინება განახლდება მხოლოდ მოთხოვილი ინფორმაციის/დოკუმენტის წარდგენის ან/და განცხადების ვადის დინების შეჩერების საფუძველების აღმოფხვრის შემთხვევაში.

3. დაინტერესებული პირის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის/დოკუმენტის განხილვის ვადის დინების შეჩერების დროის განმავლობაში მოთხოვილი დოკუმენტის/ინფორმაციის წარმოდგენლობისას, განცხადება დარჩება განუხილველი.

4. ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის საფუძველები განისაზღვრება ამ კანონით, ინსტრუქციითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. ინფორმაციის გაცემაზე უარის და განცხადების განუხილველად დატოვების შემთხვევაში, მომსახურებისათვის გადახდილი საფასური დაბრუნებას არ ექვემდებარება.

6. ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის, დამატებითი ინფორმაციისა თუ დოკუმენტის წარდგენის ვადის განსაზღვრის, განცხადების განხილვის ვადის დინების განახლების და ინფორმაციის გაცემის შესახებ განცხადების განუხილველად დატოვების შემთხვევაში, მარეგისტრირებელი ორგანო გამოსცემს შესაბამის გადაწყვეტილებას.

7. ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის, დამატებითი ინფორმაციისა თუ დოკუმენტის წარდგენის ვადის განსაზღვრის, განცხადების განხილვის ვადის დინების განახლების და ინფორმაციის გაცემის შესახებ განცხადების განუხილველად დატოვების შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება საჩივრდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. კანონის მე-10 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტის შემდეგ დაემატოს 2¹ პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„2¹. ამონაწერი მეწარმეთა და არაკომერციულ (არასამეწარმეო) იურიდიულ პირთა რეესტრიდან მზადდება, მეწარმეთა და არაკომერციულ (არასამეწარმეო) იურიდიულ პირთა რეესტრის, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის და

საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის რეესტრების მონაცემთა ერთიანი ბანკის საფუძველზე და ასახავს მისი მომზადების მომენტისათვის რეგისტრირებული სუბიექტის, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის და საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის შესახებ ძალაში მყოფ მონაცემებს.“.

ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან გაიცემა ნებისმიერ პირზე და მზადდება რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებასთან ერთად. რეგისტრირებული მონაცემის არსებობის შემთხვევაში კი შესაბამისი საფასურის გადახდისას.“.

6. კანონს დაემატოს IV¹ თავი და 20¹ – 20³ მუხლები შემდეგი რედაქციით:

„თავი IV¹. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრი

მუხლი 20¹. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრაციას დაქვემდებარებული სუბიექტები

1. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრაციას ექვემდებარება „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული მეწარმე სუბიექტები, ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები, ასევე უცხო ქვეყნის საწარმოს ფილიალი (მუდმივი დაწესებულება) (შემდეგში - სარეგისტრაციო სუბიექტები).

2. სარეგისტრაციო სუბიექტის დარეგისტრირების შესახებ ამ კანონით განსაზღვრული გადაწყვეტილების მიღება ნიშნავს სუბიექტის როგორც სახელმწიფო, ისე საგადასახადო რეგისტრაციას.

3. სარეგისტრაციო სუბიექტი წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. სარეგისტრაციო სუბიექტის არსებობა დგინდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან.

4. სარეგისტრაციო სუბიექტისა და მისი ფილიალისათვის საიდენტიფიკაციო კოდის მინიჭება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. სარეგისტრაციო სუბიექტის რეგისტრაციის ადგილად ჩაითვლება მისი იურიდიული მისამართი, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

6. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის წარმოების პირობები, რეესტრის ფორმულარები, სუბიექტის რეგისტრაციის შესახებ განცხადებისა და მეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრიდან ამონაწერის ფორმები, ასევე სარეგისტრაციო სუბიექტის საიდენტიფიკაციო ნომრის ფორმირების წესი განისაზღვრება ინსტრუქციით.

მუხლი 20². სარეგისტრაციო სუბიექტის რეგისტრაციის შესახებ განცხადების წარდგენის წესი

1. სარეგისტრაციო სუბიექტის რეგისტრაციის შესახებ განცხადების წარდგენაზე უფლებამოსილია სარეგისტრაციო სუბიექტის წესდებით (პარტნიორთა/ამხანაგობის მონაწილეთა შეთანხმებით) წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი, ხოლო ინდივიდუალური მეწარმის შემთხვევაში – შესაბამისი ფიზიკური პირი.

2. ფიზიკური პირი ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაციისათვის მარეგისტრირებელ ორგანოში წარადგენს განცხადებას და პირადობის დამადასტურებელ მოწმობას.

3. საწარმოს/არაკომერციული იურიდიული პირის რეგისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში, განცხადებას თან უნდა დაერთოს სარეგისტრაციო სუბიექტის ყველა პარტნიორის/მონაწილის მიერ ხელმოწერილი და სანოტარო წესით დამოწმებული წესდება (პარტნიორთა/ამხანაგობის წევრთა შეთანხმება), რომელშიც უნდა მიეთითოს:

ა) საწარმოს/არაკომერციული იურიდიული პირის სახელწოდება/საფირმო სახელწოდება;

ბ) საწარმოს/არაკომერციული იურიდიული პირის სამართლებრივი ფორმა;

გ) საწარმოს/არაკომერციული იურიდიული პირის იურიდიული მისამართი;

დ) საწარმოს/არაკომერციული იურიდიული პირის დამფუძნებელი პარტნიორის (პარტნიორების), სამეწარმეო ამხანაგობის შემთხვევაში ამხანაგობის მონაწილეთა(წევრთა) ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის (პირების), პროკურისტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი და პირადი ნომერი. თუ საწარმოს/არაკომერციულ იურიდიულ პირს ყავს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი რამდენიმე პირი, აღნიშვნა – ისინი ერთად

წარმოდგენენ საწარმოს/არაკომერციული იურიდიული პირს თუ ცალ-ცალკე-
თუ პარტნიორი/მონაწილე(წევრი) იურიდიული პირია – მის საფირმო
სახელწოდება, სამართლებრივ ფორმა, იურიდიული მისამართი, რეგისტრაციის
თარიღი და საიდენტიფიკაციო ნომერი, მონაცემები მისი წარმომადგენლების
შესახებ;

ე) მონაცემები საწარმოს პარტნიორთა წილობრივი მონაწილეობის შესახებ,
საწარმოს კაპიტალის წილებისა და მოგების პარტნიორთა/მონაწილეთა შორის
განაწილების წესი, თითოეული პარტნიორის შენატანის ოდენობა და მათი სხვა
უფლება-მოვალეობები;

ვ) ყველა იმ შეზღუდვის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში),
რომელიც შეეხება წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებას
წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის მიერ.

ზ) საქმიანობის მიზნები;

თ) კომანდიტური საზოგადოების შემთხვევაში აღნიშვნა – რომელი
პარტნიორია შეზღუდული და რომელი – სრული;

4. საწარმოს/არაკომერციული იურიდიული პირის რეგისტრაციისათვის
სარეგისტრაციო განცხადებასთან, წესდებასა და კანონმდებლობით
განსაზღვრულ სხვა სარეგისტრაციო დოკუმენტაციასთან ერთად წარდგენილი
უნდა იყოს ხელმძღვანელობაზე (წარმომადგენლობაზე) უფლებამოსილი პირის
(პირების) ხელმოწერის ნიმუში (ნიმუშები), რომლებსაც სამართლებრივ
ურთიერთობებში გამოიყენებენ. ხელმოწერის ნიმუში უნდა დამოწმდეს
სანოტარო წესით ან უნდა შესრულდეს მარეგისტრირებელ ორგანოში,
ხელმოწერის დამოწმებისთვის ინსტრუქციით დადგენილი წესით.

5. თუ დაინტერესებული პირი, სარეგისტრაციო სუბიექტის პარტნიორი
(პარტნიორები) ან მონაწილეები (წევრები), ხელმძღვანელობაზე ან/და
წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (პირები) არიან უცხო ქვეყნის
მოქალაქეები ან უცხო ქვეყნის იურიდიული პირები, ისინი სარეგისტრაციოდ
წარადგენენ საქართველოს მოქალაქისათვის საქართველოში რეგისტრირებული
საწარმოსათვის დადგენილ ექვივალენტურ მონაცემებს. სარეგისტრაციოდ
წარსადგენი დოკუმენტების ექვივალენტურობის დადგენის წესის განსაზღვრაზე
უფლებამოსილია **საქართველოს იუსტიციის მინისტრი**. უცხო ქვეყნის
იურიდიული პირების შემთხვევაში მათი იურიდიულ პირად რეგისტრაციის
დამადასტურებელი დოკუმენტები დამოწმებული ან ლეგალიზებული უნდა იყოს
სათანადო წესით.

6. სარეგისტრაციო სუბიექტის რეგისტრაციისათვის ან საქმიანობისათვის
არ არის სავალდებულო საწარმოს ბეჭდის არსებობა. დაუშვებელია
ნორმატიული აქტით ან სახელმწიფო ორგანოს მიერ მოთხოვნილ იქნას
საწარმოს ბეჭდით დამოწმებული ნებისმიერი დოკუმენტი.

7. ცვლილების რეგისტრაციის მოთხოვნის შემთხვევაში მარეგისტრირებელ ორგანოს უნდა წარედგინოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შედგენილი ცვლილების დამადასტურებელი დოკუმენტი.

მუხლი 20³. რეგისტრირებული სუბიექტის ლიკვიდაცია, რეორგანიზაცია (გარდაქმნა, შერწყმა, გაყოფა), საქმიანობის შეწყვეტა

1. კანონმდებლობით დადგენილი წესით საწარმოს/არასამეწარმეო იურიდიული პირის ლიკვიდაცია, ასევე ინდივიდუალური მეწარმის მიერ სამეწარმეო საქმიანობის შეწყვეტა წარმოადგენს რეგისტრირებული სუბიექტის რეგისტრაციის შეწყვეტის საფუძველს. რეგისტრირებული სუბიექტის რეგისტრაციის შეწყვეტის მიზნით მარეგისტრირებელ ორგანოს, კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა დოკუმენტებთან ერთად წარედგინება:

ა) საწარმოს/არასამეწარმეო იურიდიული პირის შემთხვევაში, დაინტერესებული პირის განცხადება და საწარმოს/არასამეწარმეო იურიდიული პირის ლიკვიდაციის დასრულების თაობაზე უფლებამოსილი პირის/ორგანოს გადაწყვეტილება;

ბ) ინდივიდუალური საწარმოს შემთხვევაში შესაბამისი ფიზიკური პირის განცხადება სამეწარმეო საქმიანობის შეწყვეტის შესახებ.

2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა, ინდივიდუალური მეწარმის რეგისტრაციის შეწყვეტის საფუძველია ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირებული ფიზიკური პირის გარდაცვალება, სასამართლოს მიერ მისი გარდაცვლილად ან ქმედუვნაროდ აღიარება. ასეთ შემთხვევაში რეგისტრაცია წარმოებს მხოლოდ გარდაცვალების ან გარდაცვლილად აღიარების შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე, ნებისმიერი პირის/ორგანოს მოთხოვნით ან მარეგისტრირებელი ორგანოს ინიციატივით.

3. საწარმოს/არასამეწარმეო იურიდიული პირის რეორგანიზაცია წარმოადგენს რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების შეტანის საფუძველს.

4. საწარმოების/არასამეწარმეო იურიდიული პირების გაერთიანებისა და დაყოფის რეგისტრაცია წარმოებს საწარმოს რეგისტრაციისათვის ამ კანონითა და ინსტრუქციით განსაზღვრული წესის შესაბამისად, წარმოშობილი სუბიექტის რაოდენობის შესაბამისი მომსახურების საფასურის გადახდით.

მუხლი 20⁴. რეგისტრირებული სუბიექტის რეგისტრაციის გაუქმება

1. თუ სუბიექტი რეგისტრირებულია, მაგრამ იგი არ აკმაყოფილებს რეგისტრაციების პირობებს, ან ეს პირობები მოგვიანებით ისპობა, მას, მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ ხარვეზის გამოსასწორებლად ეძლევა ხარვეზის აღმოჩენიდან 3 თვის ვადა. ამ ვადის განმავლობაში რეგისტრაცია შეჩერებულიად ითვლება.

2. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ხარვეზი დადგენილ ვადაში არ გამოსწორდა, მარეგისტრირებელი ორგანო მიმართავს სასამართლოს რეგისტრირებული სუბიექტის ლიკვიდაციის მოთხოვნით. რეგისტრირებული სუბიექტის ლიკვიდაცია უნდა დასრულდეს ასეთი მიმართვიდან არაუგვიანეს 3 თვისა. აღნიშნული სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ რეგისტრაცია უქმდება.

3. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხარვეზის გამოსწორება შეუძლებელია, მარეგისტრირებელი ორგანო მიმართავს სასამართლოს რეგისტრირებული სუბიექტის ლიკვიდაციის მოთხოვნით. რეგისტრირებული სუბიექტის ლიკვიდაცია უნდა დასრულდეს ასეთი მიმართვიდან არაუგვიანეს 3 თვისა. აღნიშნული სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ რეგისტრაცია უქმდება.

4. რეგისტრირებული სუბიექტის ქონებასთან დაკავშირებული დავის აღძვრა სასამართლოში აღნიშნული დავის გადაწყვეტამდე, აჩერებს ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული ვადის დენას.

7. კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) განცხადება ან/და თანდართული დოკუმენტი ან ინფორმაცია არ იძლევა ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე უფლების, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის საგნისა და სუბიექტის ან/და საგნის მესაკუთრის ან მართლზომიერი მფლობელის, ასევე სარეგისტრაციო სუბიექტისა და მის რეგისტრაციასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობისა და მასში მონაწილე პირების იდენტიფიკაციის საშუალებას;“.

8. კანონის 23-ე მუხლის:

ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) უფლების, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის წარმოშობა, მათში ცვლილება და მათი შეწყვეტა, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვების წარმოშობა, ასევე სარეგისტრაციოდ მოთხოვილი სუბიექტი არ ექვემდებარება რეგისტრაციას;“;

ბ) „ბ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს „ბ1“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ბ1) სარეგისტრაციოდ მოთხოვილი უფლება, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულება, მათში ცვლილება და მათი შეწყვეტა, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლების, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვის წარმოშობა, მათში ცვლილება და მათი შეწყვეტა, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვების წარმოშობა, ასევე სარეგისტრაციო სუბიექტი უკვე რეგისტრირებულია საჯარო რეესტრში;“.

9 კანონის 27-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ნივთსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე ამ კანონით განსაზღვრული უფლება, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულება, საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის უფლება, საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვა, სარეგისტრაციო სუბიექტი და შესაბამისი სარეგისტრაციო მონაცემები წარმოშობილად, შეცვლილად ან შეწყვეტილად, ხოლო საკუთრების უფლება მიტოვებულად ითვლება რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების გამოცემის მომენტიდან, გარდა ამ კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.“.

10. კანონის 30-ე მუხლს დაემატოს მე-8 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„8. სარეგისტრაციო სუბიექტის რეგისტრაციისას მომსახურების საფასური გადაიხდება სარეგისტრაციო სუბიექტის/ფილიალის რაოდენობის შესაბამისად.“.

11. კანონის 31-ე მუხლის:

ა) პირველ პუნქტის დაემატოს „თ“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„თ) სარეგისტრაციო სუბიექტის რეგისტრაცია, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებებისა და მათი შეწყვეტის რეგისტრაცია, გარდა ამ კანონის 33-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა – 1 სამუშაო დღის ვადაში – 70 ლარი.“;

ბ) მე-2 პუნქტის:

ბ.ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ა) საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მომზადება – 1 სამუშაო დღის ვადაში – 15 ლარი;“;

ბ.ბ) „ბ“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნას.

12. 32-ე მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს „ბ¹“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ბ¹) სარეგისტრაციო სუბიექტის რეგისტრაცია, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებებისა და მათი შეწყვეტის რეგისტრაცია, განცხადების შეტანის დღეს 200 ლარი;“.

13. კანონის 33-ე მუხლს დაემატოს „ი“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:

„ი) ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრირებული ფიზიკური პირის გარდაცვალებისას, ასევე სასამართლოს მიერ გარდაცვლილად ან ქმედუნაროდ აღიარებისას ინდივიდუალური საწარმოს რეგისტრაციის შეწყვეტა – 1 სამუშაო დღის ვადაში.“.

14. კანონის 34-ე მუხლის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველია მოთხოვნის იდენტური რეგისტრირებული მონაცემის არსებობა. ამ შემთხვევაში გადახდილი საფასური ბრუნდება სრულად;“.

15. კანონის 35-ე მუხლს დაემატოს მე-6-მე-8 პუნქტები შემდეგი რედაქციით:

„6. საწარმოებმა და დამოუკიდებელმა რეგისტრატორებმა, რომლებმაც 2008 წლის 10 მაისიდან ამ პუნქტის ამოქმედებამდე განახორციელეს სარეგისტრაციო მონაცემებში წილობრივი მონაწილეობის ცვლილების რეგისტრაცია, ვალდებულნი არიან ამ პუნქტის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში წარუდგინონ საჯრო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მონაცემები, 2008 წლის 10 მაისიდან ამ პუნქტის ამოქმედებამდე მათ მიერ დარეგისტრირებული წილობრივი მონაწილეობის შესახებ (ქრონოლოგიური მდგომარეობით). თუ საწარმო 2008 წლის 10 მაისიდან ამ პუნქტის ამოქმედებამდე განახორციელებს ცვლილების რეგისტრაციას და მას არ წარმოუდგენია 2008 წლის 10 მაისიდან ამ პუნქტის ამოქმედებამდე განხორციელებული ცვლილების შესახებ მონაცემები, იგი ვალდებულია ცვლილების რეგისტრაციასთან ერთად წარმოადგინოს აღნიშნული მონაცემები. საწარმოებს და დამოუკიდებელ რეგისტრატორებს პასუხისმგებლობა ეკისრებათ ამ პუნქტით გათვალისწინებულ მონაცემთა წარუდგენლობით გამოწვეული ზიანისათვის.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ მონაცემთა წარდგენა არ განიხილება რეესტრში ცვლილების რეგისტრაციად და რეგისტრაციითვის საფასური არ გადაიხდება.

8. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ამ კანონის ამოქმედებისთანავე უზრუნველყოს შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მიღება.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს – 2009 წლის 1 ივლისიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

